



ექსპერტის ანგარიში
ძ » ძ
ექსპერტის მისია საქართველოში
ძ » ძ AGR IND/EXP 63660
თარიღი 16-20 იანვარი 2017
ადგილი თბილისი

ინფორმაცია ექსპერტის მისიაზე

ქვეყანა	საქართველო
ინსტიტუტი	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ვიზიტორი	სტილიანოს კოულურის

ექსპერტის დეტალები¹

გვარი	კოულურის
სახელი	სტილიანოს
თანამდებობა	სამეცნიერო ოფიცერი
დაწესებულება	ჰელენიკის სურსათის სააგენტო
ქვეყანა	საბერძნეთი
ტელეფონი	+30 6972603007
ელ-ფოსტა	skoulouris@gmail.com

EXPERT REPORT

¹ Data Protection

Personal data contained in this document will be processed in accordance with the privacy statement of the TAIEX instrument (see <http://taiex.cec.eu.int/PrivacyStatement>) and in compliance with the Regulation (EC) N° 45/2001.



EUROPEAN COMMISSION

Directorate-General Neighbourhood and Enlargement Negotiations

Institution Building Unit C.3

Technical Assistance Information Exchange Instrument (TAIEX)

<p>1. <u>მისიის მიზანი</u></p>	<p>მისიის მიზანი იყო გავცნობოდით სიტუაციას რისკის შეფასების სფეროში საქართველოში, მიგვეცა სამომავლო რეკომენდაციები რისკის შეფასების მეთოდების განვითარებაზე და გამოყენებაზე, ასევე მონაცემების მოძიებაზე, უზრუნველყოფილიყო რისკის კომუნიკაცია და გაგვეფართოებინა სამეცნიერო ქსელი და სამუშაო ჯგუფი.</p>
<p>2. <u>მიმოხილვა</u></p>	<p>საქართველოს უკვე აქვს ძალიან კარგად ჩამოყალიბებული და კარგად სტრუქტურირებული სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების სისტემა.</p> <p>სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, რისკის შეფასების სამსახურს გააჩნია სურსათის უვნებლობის რისკის შეფასების ძირითადი კონცეფციების სოლიდური ცოდნა.</p> <p>რისკის შეფასების სამსახური არის ცალკე ერთეული რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ექსპერტებთან რისკის შეფასების განსახორციელებლად. ამ მხრივ, სტრუქტურა არის EFSA-ს მსგავსი მოწყობა, რომელიც შეესაბამება EFSA-ს სამეცნიერო პანელებისა და EFSA-ს სტრუქტურული ერთეულების ურთიერთობას. რისკის შეფასების საქმიანობა მიმდინარეობს დამოუკიდებლად რისკის მართვისაგან, რისკის მართვა ტარდება სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სხვა სამთავრობო უწყებების მიერ. რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს კოორდინირებას უწევს თავმჯდომარე და საბჭოს სამუშაო ფასდება სოფლის მეურნეობის აკადემიის მიერ.</p> <p>შეხვედრის დროს განვიხილეთ სხვადასხვა ორგანიზაციების/ერთეულების სტრუქტურები, მათ შორის უფლება-მოვალეობების გადანაწილება, მეთოდოლოგიები, და პრაქტიკული საკითხები სურსათის უვნებლობის რისკის შეფასებასთან დაკავშირებით, როგორ ჩატარდეს შეფასება და რისკის კომუნიკაცია. ბევრი ეს ასპექტი რეგულირდება კანონმდებლობით, მაგრამ სხვა საკითხები როგორცაა: რისკის შეფასების სამსახურისა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შორის უფლება-მოვალეობების განაწილება, ზუსტი მეთოდოლოგიები, მოსაზრებების დაფუძნება და ა. შ. უნდა კვლავაც შემუშავდეს და დოკუმენტურად გაიწეროს.</p> <p>მაგალითისათვის განვიხილეთ წარმოდგენილი ტრანს-ცხიმების რისკის შეფასების რეპორტი, სადაც ძირითადი პროცედურები ძალიან ახლოს ემთხვეოდა</p>



EUROPEAN COMMISSION

Directorate-General Neighbourhood and Enlargement Negotiations

Institution Building Unit C.3

Technical Assistance Information Exchange Instrument (TAIEX)

	<p>ევროგაერთიანების ინსტიტუციების მიერ გამოყენებულს.</p>
<p>3. <u>დასკვნები</u></p>	<p>მიუხედავად იმისა რომ ქვეყანას გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული რისკის შეფასების სტრუქტურა და რომ რისკის შეფასების სამსახურსის თანამშრომლებსა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრებს გააჩნიათ მეცნიერული ცოდნა, კარგი გამოცდილება უნარები და მათ უკვე აქვთ გამოქვეყნებული საკმაო რაოდენობის სხვადასხვა მოსაზრებები, საჭიროა კარგად დადგინდეს/გაიწეროს ყველა მონაწილის უფლება-მოვალეობები და ზუსტი მეთოდოლოგიები რომლებაც მიყვება პროცესი.</p> <p>რისკის შეფასების ნაბიჯები უნდა ნათლად გამოკვეთილი წერილობით ინსტრუქციებში, რომელიც ასევე განსაზღვრავს ლიმიტირებების შემთხვევებს. რისკის შეფასების სამსახური თანამშრომლთა სიმწირე (4 თანამშრომელი ყველა რისკის შეფასების საქმიანობებისთვის) ასევე წარმოადგენს მალიმიტირებელ ფაქტორს.</p> <p>ეს ეხება განსაკუთრებით ექსპოზიციის შეფასებისთვის სურსათში ბიოლოგიურ და ქიმიურ საფრთხეების გამოვლენისა და კონცენტრაციების მონაცემების სიმწირეს და ასევე საქართველოს მოსახლეობისთვის ფაქტიური კვების მონაცემების არ არსებობას.</p> <p>რაც შეეხება რისკის შეფასების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს არ არსებობს ნათელი პროცედურა, რომლის მიხედვითაც დაინტერესებული მეცნიერები შეძლებდნენ განაცხადის წარმოდგენას წევრობაზე, და რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი წევრობისთვის.</p> <p>თუმცა ექსპერტის მისიის წინასწარ დღის წესრიგში ბევრი პრაქტიკული საკითხი იქნა ჩართული, გარკვეულ საკითხებზე ტრეინინგის მონაწილეთა მაღალი დაინტერესების გამო და ამ ტოპიკებზე უფრო დეტალური განხილვის გამო (ძირითადად ეს ეხებოდა სტრუქტურასა და მეთოდოლოგიებს), სხვა საკითხების როგორცაა რისკის კომუნიკაციის დეტალებში წარმოდგენა ვერ მოხერხდა.</p>
<p>4. <u>რეკომენდაციები</u> (<u>სფეროები მომავალი დახმარებისთვის</u>)</p>	<p>როგორც მაღლა აღინიშნა, დოკუმენტურად გაწერილი მეთოდოლოგია უნდა შედგეს რომელიც აღწერს რისკის შეფასების მონაწილე ერთეულების ერთეულების უფლება-მოვალეობების ბალანსს, რისკის შეფასების განხორციელების ზუსტ გზასა და დროის ჩარჩოებს.</p> <p>უნდა დაზუსტდეს (გაიწეროს) სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს რეფერენს პირობები, რომელიც განსაზღვრავს საბჭოს მუშაობის წესს (modus operandi),</p>



EUROPEAN COMMISSION

Directorate-General Neighbourhood and Enlargement Negotiations

Institution Building Unit C.3

Technical Assistance Information Exchange Instrument (TAIEX)

	<p>პროცედურებსა და მათში მონაწილეობის მოთხოვნებს.</p> <p>ვინაიდან ამჯერად ექსპოზიციის შეფასების ეტაპი ხორციელდება შეზღუდული მონაცემების პირობებში, „დაახლოებული მონაცემებით“ (ექსპერტების ცოდნაზე დაყრდნობით გაკეთებული დაშვებებით ან სხვა მსაგავსი ქვეყნების მონაცემების გამოყენებით) „სავარაუდო ექსპოზიციის“ გზით, საჭიროა სხვადასხვა საფრთხის მიმართულებით მონაცემების შეგროვება ეროვნულ დონეზე.</p> <p>ასევე, უკიდურესად გამოსადეგი იქნებოდა „ეროვნული ფაქტიური კვების შესწავლა“ EFSA-ს მეთოდოლოგიის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების სურსათის მოხმარების პროფილზე ზუსტი მონაცემების შეგროვება.</p> <p>ზემოთ აღნიშნული აქტივობები მოითხოვს სათანადო რესურსებს, ექსპერტებს, დანადგარ-აღჭურვილობას, ფინანსებს.</p> <p>მიუხედავად იმისა რომ რისკის შეფასების სამსახურის თანამშრომლებმა გამოავლინეს რისკის შეფასების ძირითადი ასპექტების მაღალი ცოდნა, რეკომენდებულია მომავალშიც მათი ტრენინგი უფრო პრაქტიკულ საკითხებზე როგორცაა „სისტემური ლიტერატურის მიმოხილვა“, „რისკის კომუნიკაცია“, „მონაცემთა კოლექციების გამოყენება“, „ვარიანტების და განუსაზღვრელობის გამოყენება“, „აღმოცენებადი რისკების იდენტიფიცირება“ და სხვა. ასევე, უნდა შემუშავდეს კრიზისის პროტოკოლი, რომელიც აღწერდა როგორც რისკის შეფასების ისე რისკის მართვის ორგანოების როლს და ურთიერთობას სურსათის კრიზისის შემთხვევისთვის.</p>
--	---

Signature: __Stylianos Koulouris__

Date: ____23/01/2017__